ხელოვნური ინტელექტის პორტფოლიოს შემქმნელი
AI Portfolio Builder

ქანან გუსეინოვი, ისკანდარ ომაროვი, ვუგარ ილიასოვი, აზერ მეჯიდოვი

ელ-ფოსტა: kanan.guseinov066@hum.tsu.edu.ge
კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჭავჭავაძის გამზ. 1, თბილისი, საქართველო

პროექტი წარმოადგენს ვებსისტემას, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ავტომატურად დააგენერიროს და მოარგოს მომხმარებელმა საკუთარი პორტფოლიოს ვებსაიტებზე. მისი მიზანია პროფესიონალური პორტფოლიოს შექმნის პროცესის გამარტივება იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც არ აქვთ ტექნიკური გამოცდილება ან დიზაინის ცოდნა.

სისტემა აგროვებს მომხმარებლის ინფორმაციას — სახელი, პროფესია, სურათი, აღწერა, საკონტაქტო დეტალები, ბმულები და პროექტები — და იყენებს OpenAI-ის მოდელს, რათა შეარჩიოს თითოეული სექციის განლაგება და სრულ ვებსაიტზე შესაბამისი გრადიენტული ფერის სქემა. მიღებული AI კონფიგურაციის საფუძველზე ვებსაიტი რეალურ დროში გენერირდება React-ის კომპონენტებისა და CSS სტილიზაციის გამოყენებით.

მომხმარებელს შეუძლია შევიდეს რედაქტირების რეჟიმში, რათა შეცვალოს ტექსტი ან სექციის ვიზუალური განლაგება კოდის წერის გარეშე. დამუშავებული პორტფოლიო ინახება და შესაძლებელია მისი გაზიარება. ავთენტიფიკაცია და მონაცემთა ბაზის მენეჯმენტი ხდება Supabase პლატფორმის საშუალებით.

პროექტი იყენებს თანამედროვე ვებტექნოლოგიებს (React.js, Supabase, OpenAI API) და ორიენტირებულია მომხმარებელზე მორგებულ UX დიზაინზე, დინამიურ ფორმებზე და სერვერულ მონაცემთა ინტეგრაციაზე. სისტემა აგებულია მასშტაბირებადობისა და გაფართოების გათვალისწინებით.

ლიტერატურა

[1] OpenAI. (2023). OpenAI API Documentation. Retrieved from https://platform.openai.com/docs

[2] Supabase Inc. (2024). Supabase Documentation: Open Source Firebase Alternative. Retrieved from https://supabase.com/docs

[3] React Team (Meta). (2023). React – A JavaScript Library for Building User Interfaces. Retrieved from https://reactjs.org

[4] MDN Web Docs. (2023). CSS: Cascading Style Sheets. Mozilla Developer Network.
Retrieved from https://developer.mozilla.org/en-US/docs/Web/CSS